



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №79

2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, „მანის“ ტიპის (MAN 19272) უნაგირა საწევარიანის და „მანის“ ტიპის მისაბმელის შ.პ.ს. „ტექსერვისისათვის“ უსასყიდლო თხოვების ფორმით გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ამავე კანონის 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „მანის“ ტიპის (MAN19272) უნაგირა-საწევარიანი ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით AXA-379 (საბალანსო ღირებულება 45000 ლარი; ნარჩენი ღირებულება-15750 ლარი) და „მანის“ ტიპის მისაბმელი სახელმწიფო ნომრით YY-244, უსასყიდლოდ სარგებლობაში, თხოვების ფორმით გადასცეს შ.პ.ს „ტექსერვისს“.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი